სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #85-21 ბრძანება; 26.04.2021

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #123-21 ბრძანებით; 16.07.2021

რექტორის #20-22 ბრძანებით; 17.02.2022

რექტორის #252-22 ბრძანებით; 27.12.2022

რექტორის #49-24 ბრძანებით; 28.03.2024

რექტორის #34-25 ბრძანებით; 26.02.2025

რექტორის #95-26 ბრძანებით; 14.07.2026

სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი

თბილისი

2026

სარჩევი

მუხლი 1. სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი 3

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის რეგისტრაცია..... 3

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი 3

მუხლი 4. სამაგისტრო კვლევის პროექტი..... 4

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომი 5

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა 5

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები 6

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი ნაწილი 6

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი..... 7

მუხლი 10. წყაროთა დამოწმების სტილი და სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ბიბლიოგრაფია..... 8

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილები 8

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა..... 9

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა 11

მუხლი 14. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის და სპეციალური კომისიის შემადგენლობის დამტკიცება..... 11

მუხლი 15. დასკვნითი გამოცდა/სამაგისტრო ნაშრომის დაცვა..... 12

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება..... 13

მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის დადებითი შეფასების შედეგები 26

მუხლი 1. სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.
2. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი.
3. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).
4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის რეგისტრაცია

1. სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობების არსებობისას წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მეოთხე სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის დაწყებიდან პირველი სასწავლო კვირის დაწყებამდე.
2. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს სამაგისტრო კვლევის პროექტის რეგისტრაციასთან ერთად.

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები, გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკადემიური კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია, უხელმძღვანელოს მაგისტრანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.
2. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას.
3. ერთი პირი, როგორც წესი, შეიძლება ხელმძღვანელობდეს არაუმეტეს 5 მაგისტრანტს. გამონაკლის შემთხვევებში, მაგისტრანტების განსხვავებული რაოდენობა დასაშვებია მხოლოდ ფაკულტეტის დეკანისა და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან წინასწარ შეთანხმებით, მაგისტრანტის ხელმძღვანელის სემესტრული სალექციო და საკონსულტაციო საათობრივი დატვირთვის

გათვალისწინებით. 2 მაგისტრანტის თანახელმძღვანელობა გათანაბრებულია ერთი მაგისტრანტის ხელმძღვანელის დატვირთვასთან.
4. მაგისტრანტის/ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნით, სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენამდე არაუგვიანეს სამი კვირისა, შეიძლება შეიცვალოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის შეთანხმებით, მაგისტრანტს ენიშნება ახალი ხელმძღვანელი.

მუხლი 4. სამაგისტრო კვლევის პროექტი

1. სამაგისტრო კვლევის პროექტი სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი მონახაზია, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.
2. სემესტრის პირველი სასწავლო კვირის დაწყებამდე სამაგისტრო კვლევის დასრულებულ პროექტს მაგისტრანტი ელექტრონული ფორმით წარუდგენს ფაკულტეტს.
3. წარდგენილ სამაგისტრო კვლევის პროექტს თან უნდა ერთოდეს თემის ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო კვლევის პროექტს და პროექტი მზად არის დასამტკიცებლად.
4. სამაგისტრო კვლევის პროექტის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 8 და არაუმეტეს 10 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. სამაგისტრო კვლევის პროექტის ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. სამაგისტრო კვლევის პროექტის ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.15. სამაგისტრო კვლევის პროექტის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. სამაგისტრო კვლევის პროექტის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.
5. სამაგისტრო კვლევის პროექტი უნდა მოიცავდეს:
5.1. სავარაუდო შესავალს (ზოგად დახასიათებას, სიახლეს, აქტუალობას, მიზნებს, კვლევის მეთოდებს);
5.2. ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურას (ნაწილებისა და ქვეთავების მაქსიმალური დეტალიზებით);
5.3. სავარაუდო ბიბლიოგრაფიას.
6. სამაგისტრო კვლევის პროექტის საჯარო პრეზენტაცია წარმოებს ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისიის წინაშე, არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან პირველი სასწავლო კვირისა. კომისიაში უნდა მონაწილეობდეს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, ასევე მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.

7. მაგისტრანტი პრეზენტაციაზე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ სამაგისტრო კვლევის პროექტს, PowerPoint-ის გამოყენებით მოახდენს მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას და უპასუხებს სპეციალური კომისიის წევრთა დასმულ შეკითხვებს.
8. კომისია ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს მაგისტრანტის სამაგისტრო კვლევის პროექტს, რომლის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს ეძლევა სამაგისტრო კვლევის პროექტზე დამატებითი მუშაობის უფლება კომისიის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობით.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომი

1. სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი დასრულებული სამუშაოა, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.
2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

1. სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგი უნდა იყოს. სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.
2. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 60 და არაუმეტეს 80 გვერდისა. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.
4. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 20 მმ.
5. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე Sylfaen-ის შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

6. სამაგისტრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). სამაგისტრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2 სმ–ით.
7. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.15. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.
8. სამაგისტრო ნაშრომის ყველა ნაწილისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
9. სამაგისტრო ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტს მიღმა, კიდური აღნიშვნებით (ე.წ. Footnote). დამოწმებული წყაროები უნდა იქნეს მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს.
10. სამაგისტრო ნაშრომში სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს, ქვედა კიდეში. შრიფტის ზომა – 10. სქოლიოების ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები და რიცხვები უწყვეტი ნუმერაციით.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები

1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:
1.1. ტიტულის გვერდი;
1.2. ხელმოწერების გვერდი;
1.3. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
1.4. შინაარსი (სარჩევი);
1.5. ძირითადი ტექსტი:
   1.5.1. შესავალი;
   1.5.2. შედეგები და მათი განსჯა;
   1.5.3. დასკვნა.
1.6. ბიბლიოგრაფია.
2. სამაგისტრო ნაშრომის არაუცილებელი შემადგენელი ნაწილებია: ცხრილების ნუსხა; გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა; ანბანური საძიებელი; დანართები.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას,

მაგისტრანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია [შესაბამისი დარგის] მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“, „თბილისი, 0186, საქართველო“, მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა და სახელი და გვარი. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული სამაგისტრო ნაშრომის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.

2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმოწერების გვერდი (გვერდი (ii)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“, „[შესაბამისი] ფაკულტეტი“, „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვუწევთ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის [შესაბამისი] ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიაში მის განხილვას [შესაბამისი] მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით.

3. სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 250-დან 400 სიტყვამდე. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად.

4. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარსს). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 0 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი

1. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას.

2. სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას ნაშრომში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში ლაკონიურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სამაგისტრო ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია დარგის ვიწრო სპეციალისტებისათვის და არა მკითხველთა ფართო მასისათვის. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

3. შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.
4. სამაგისტრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებულ უნდა იქნას ლაკონიურად.

მუხლი 10. წყაროთა დამოწმების სტილი და სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ბიბლიოგრაფია

1. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ბიბლიოგრაფია უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით (გარდა სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისა, რომელთა დალაგებისასაც გაითვალისწინება აქტების იერარქია, მოქმედების ძალა და ინსტანციურობა, მიღების თარიღი).
2. წყაროთა დამოწმებისათვის გამოიყენება შემდეგი წესი:
2.1. სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამები - APA;
2.2. თეოლოგიის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები - CHICAGO;
2.3. სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები - დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მითითებისა და აღნიშვნის სტანდარტი სამართალში.
3. ბიბლიოგრაფიაში სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს – 1.15, აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი, ხოლო შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის არაუცილებელი შემადგენელი ნაწილები

1. თუ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.15. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.
2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი - 1.

3. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

4. თუ სამაგისტრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

5. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სამაგისტრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.

6. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა

1. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს ხელმძღვანელის ზედამხედველობით, ამ უკანასკნელის მიერ მიცემული შენიშვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვით. მაგისტრანტი თავისუფალია საკუთარი პოზიციების შემუშავებისას და არ იბოჭება ხელმძღვანელის პოზიციებითა და იდეებით.

2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მაგისტრანტი ყოველკვირეულად, მთელი სემესტრის განმავლობაში, გადის კონსულტაციას, განიხილავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს.

3. სემესტრულად მაგისტრანტისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის აკადემიური ურთიერთობა და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა, როგორც წესი, წარიმართება შემდეგი განრიგით:

კვირა	ქმედება
I	სამაგისტრო კვლევის პროექტის საჯარო პრეზენტაცია ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისიის წინაშე, წყაროებზე მუშაობა, სავარაუდო სტრუქტურის მოდიფიკაცია, კომისიის რეკომენდაციებისა და შეთავაზებების განხილვა ხელმძღვანელთან და ასახვა.
II-V	სამაგისტრო ნაშრომის წყაროებზე მუშობა, ხელმძღვანელთან კონსულტაცია, ხელმძღვანელის რეკომენდაციების განხორციელებაზე კონტროლი.
VI-VIII	სამაგისტრო ნაშრომის შესრულებული სტრუქტურული ერთეულების (ნაწილების, ქვეთავების) განხილვა, პრობლემური საკითხების ანალიზი ხელმძღვანელთან ერთად.
IX-XI	სამაგისტრო ნაშრომის წყაროებზე მუშობა, ხელმძღვანელთან კონსულტაცია, ხელმძღვანელის რეკომენდაციების განხორციელებაზე კონტროლი.
XII	სამაგისტრო ნაშრომის შესრულებული სტრუქტურული ერთეულების (ნაწილების, ქვეთავების) განხილვა, პრობლემური საკითხების ანალიზი ხელმძღვანელთან ერთად.
XIII	ნაშრომზე მუშაობის დასრულება, დასრულებული ვერსიის ხელმძღვანელისთვის გაგზავნა, ხელმძღვანელის რეკომენდაციების განხილვა, ნაშრომის ყველა არსებით საკითხზე შეთანხმება.
XIV	ნაშრომის რედაქტირება, ფორმალური სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმება, ამობეჭდვა და დასრულება. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა ადმინისტრაციისთვის და ტექნიკური პარამეტრების შეთანხმება.
XV	სამაგისტრო ნაშრომის დასრულებული და ტექნიკური პარამეტრების შეთანხმებით ნაშრომის წარდგენა და რეგისტრაცია. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და სპეციალური კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა ფაკულტეტის დეკანის მიერ.

XVI	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (დაცვის თარიღი განისაზღვრება დეკანის მიერ. დაცვა შეიძლება ჩატარდეს დაცვის თარიღის დადგენიდან მინიმუმ ხუთი კალენდარული დღის გასვლის შემდეგ).

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. მაგისტრანტი ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს სამაგისტრო ნაშრომის ერთ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), მეოთხე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა). ოფიციალურ წარდგენამდე ერთი კვირით ადრე, მე-14 სასწავლო კვირაში მაგისტრანტი ვალდებულია დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული ვერსია მიაწოდოს დეკანატსა და შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს ნაშრომის ფორმალურ და ტექნიკურ პარამეტრებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. დეკანატისა და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის შენიშვნების შესასრულებლად და ნაშრომის ტექნიკურად გასამართად, ფორმალურ სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად მაგისტრანტს ერთი კვირის ვადა ეძლევა. თუკი მე-15 სასწავლო კვირაში წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი კვლავაც არ დააკმაყოფილებს ფორმალურ სტანდარტს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის ერთობლივი გადაწყვეტილებით, მაგისტრანტს მიეცემა დამატებით ერთი სემესტრი ნაშრომის წარმოსადგენად. ამ შემთხვევაში განსაზღვრული დამატებითი სემესტრის ღირებულებას სტუდენტი არ იხდის.
2. სამაგისტრო ნაშრომთან ერთად მაგისტრანტმა ფაკულტეტს უნდა წარუდგინოს მაგისტრანტის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომს და ნაშრომი მზად არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.
3. სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს მაგისტრანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.
4. მაგისტრანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდგომი სემესტრიდან.

მუხლი 14. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის და სპეციალური კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და სპეციალური კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი, არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა.

2. დასკვნითი გამოცდა/სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შეიძლება დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან მინიმუმ 5 კალენდარული დღის შემდეგ.
3. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში დეკანატი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას კომისიის წევრებისათვის.
4. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან.
5. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან ასისტენტი, აგრეთვე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი. სპეციალურ კომისიაში ასევე მონაწილეობს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.
6. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე.

მუხლი 15. დასკვნითი გამოცდა/სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარმოებს დასკვნით გამოცდაზე საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევის შედეგებს.
2. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი მაინც.
3. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.
4. თუ მაგისტრანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დასკვნითი გამოცდაზე/სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, ან სპეციალური კომისიის კვორუმი არ შედგა, ან დასკვნითი გამოცდა/სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არ შედგა მაგისტრანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, ფაკულტეტის დეკანის მიერ დაინიშნება დამატებითი დასკვნითი გამოცდა/სამაგისტრო ნაშრომის დაცვა იმავე სემესტრში.
5. დასკვნით გამოცდაზე სპეციალური კომისიის წევრები/გამომცდელები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში.
6. დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. ამასთან, გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს.
7. დასკვნითი გამოცდაზე სპეციალური კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მაგისტრანტის ვინაობას და სამაგისტრო ნაშრომის თემას.
8. დასკვნითი გამოცდის/დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, კამათს და სპეციალური კომისიის დასკვნას.

9. მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს მაგისტრანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით მაგისტრანტი კომისიას მოახსენებს თავისი სამაგისტრო ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სიახლეს. კომისია უფლებამოსილია, მაგისტრანტს პრეზენტაციის მსვლელობისას დაუსვას დამაზუსტებელი კითხვები, მოსთხოვოს ინფორმაციისა და კვლევის შედეგების მკაფიოდ და დეტალურად გადმოცემა, აღწერილობითი ნაწილის შემცირება ან თემის წარდგენა წარმართოს სრულად კითხვა-პასუხისა და კამათის რეჟიმში.
10. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისას მაგისტრანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა, მაგალითად: სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
11. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება კამათი, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. მაგისტრანტი უპასუხებს სპეციალური კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს. კომისიის მიერ პრეზენტაციისას დამაზუსტებელი კითხვების დასმისა და მაგისტრანტთან სამეცნიერო კამათის შემთხვევაში, პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, კამათი აღარ იმართება.
12. კამათის შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
2. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
3. სტუდენტის მიღწევები ფასდება 100 ქულიანი სისტემით.
4. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები (შეფასების მეთოდები): სამაგისტრო ნაშრომის შეფასება; სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასება; დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება.
5. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 60 ქულით, სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია - 20 ქულით, ხოლო დისკუსიაში მონაწილეობა - 20 ქულით.
6. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: საკვლევი თემის სიახლე და აქტუალობა (10 ქულა), კვლევის მიზანი (5 ქულა), შერჩეული მასალა, პირველწყაროები, ლიტერატურა (5 ქულა), კვლევის მეთოდოლოგია და ჩატარებული კვლევის ხარისხი (10 ქულა), სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა (10 ქულა), საკუთარი იდეები და პოზიციები (5 ქულა), დასკვნები და შედეგები (5 ქულა), აკადემიური წერის კულტურა, ციტირების ტექნიკა და ფორმალური სტანდარტის დაცვა (10 ქულა).

ქულა	საკვლევი თემის სიახლე და აქტუალობა

9-10	საკვლევი თემა აქტუალურია, აქტუალურობა დასაბუთებულია, პასუხობს დარგის თანამედროვე გამოწვევებს, თემა სიახლეს წარმოაჩენს, კონცენტრირებულია კონკრეტულ პრობლემაზე, კვლევა შედეგზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების შეთავაზებას.
7-8	საკვლევი თემა აქტუალურია, აქტუალურობა მეტწილად დასაბუთებულია და ძირითადად პასუხობს დარგის თანამედროვე გამოწვევებს, თემაში მრავლადაა სიახლე, კვლევა მეტწილად შედეგზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის გზების შეთავაზებას.
5-6	საკვლევი თემა ნაწილობრივ აქტუალურია, იგი ძირითადად პასუხობს დარგის თანამედროვე გამოწვევებს, თემაში გარკვეულწილად არის სიახლე, თუმცა კვლევა ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული.
3-4	საკვლევი თემა ნაკლებად აქტუალურია, იგი თითქმის არ პასუხობს დარგის თანამედროვე გამოწვევებს, თემაში ნაკლებადაა სიახლე და არაა შედეგზე ორიენტირებული.
1-2	საკვლევი თემა არაა აქტუალური, თითქმის სრულებით არაა წარმოდგენილი რაიმე სიახლე, არ წარმოაჩენს კონკრეტულ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებს.
0	საკვლევი თემა არ მოიაზრებს რაიმე სიახლეს და არაა აქტუალური.

ქულა	კვლევის მიზანი
5	კვლევის მიზნები ზედმიწევნით არის ჩამოთვლილი, თითოეული მათგანი მიღწევადი, გაზომვადი და გადამოწმებადია. მიზნები ნათელ წარმოდგენას იძლევა კვლევის შესაძლო განვითარების, პერსპექტივისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. კვლევის მიზნები მკაფიოდაა გამიჯნული ამოცანებისგან.
4	კვლევის მიზნები მეტწილად ჩამოყალიბებული და განსაზღვრულია, მათი უმრავლესობა მიღწევადი, გადამოწმებადი და გაზომვადია. ისინი წარმოდგენას ქმნის კვლევის შესაძლო განვითარების თაობაზე, შედეგების უმრავლესობა წინასწარგანჭვრეტადია. კვლევის მიზნები გამიჯნულია ამოცანებისგან.
3	კვლევის მიზნები ჩამოყალიბებულია, თუმცა არაა დეტალურად განსაზღვრული, მათი უმრავლესობა აბსტრაქტული, არაგაზომვადია. ისინი ბუნდოვან წარმოდგენას ქმნის კვლევის შესაძლო განვითარების

	თაობაზე, შედეგების უმრავლესობის წინასწარ განჭვრეტა რთულია. კვლევის მიზნები რთულად იმიჯნება ამოცანებისგან.
2	კვლევის მიზნები ზოგადი და ბუნდოვანია, შეუძლებელია მათი მისაღწევი შედეგების წინასწარ ჭვრეტა, კვლევის შესაძლო განვითარების თაობაზე წინასწარი ვარაუდი თითქმის შეუძლებელია, კვლევის მიზნები და ამოცანები აღრეულია.
1	კვლევის მიზნები ზედაპირულადაა ჩამოყალიბებული, ისინი იმდენად ზოგადი და ბუნდოვანია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი რეალური მიღწევა და განხორციელება.
0	სამაგისტრო ნაშრომში კვლევის მიზნები მოცემული არაა.

ქულა	შერჩეული მასალა, პირველწყაროები, ლიტერატურა
5	სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, დამოწმებულია ქართულ ენაზე არსებული, შესაბამისი სფეროს ყველა მნიშვნელოვანი წყარო - სამეცნიერო ლიტერატურა, განხილული და მოხმობილია მრავალფეროვანი მასალა, შესაბამისი ოფიციალური დასკვნები, მოხსენებები, ანგარიშები, მრავლადაა გამოყენებული უცხოენოვანი დარგობრივი და თანამედროვე ლიტერატურა.
4	სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული წყაროების უმრავლესობა კვლევის საგანთან დაკავშირებულია, დამოწმებულია ქართულ ენაზე არსებული, შესაბამისი სფეროს ყველა მნიშვნელოვანი წყარო - სამეცნიერო ლიტერატურა, შესაბამისი ოფიციალური დასკვნები, მოხსენებები, ანგარიშები, დამაკმაყოფილებლადაა გამოყენებული უცხოენოვანი დარგობრივი და თანამედროვე ლიტერატურა.
3	გამოყენებული წყაროების ნაწილი კვლევის საგანთან უშუალოდ დაკავშირებულია, მოხმობილია ქართულენოვანი ლიტერატურა, ნორმატიული აქტები. მოისაკლისებს უცხოენოვანი წყაროები, ნაკლები ყურადღებაა დათმობილი უახლეს, თანამედროვე მასალებზე.
2	გამოყენებულ წყაროთა რაოდენობა მწირია, ნაშრომი ძირითადად მეორეულ წყაროებსა და რამდენიმე ლიტერატურას ეფუძნება, თითქმის არაა დამოწმებული უცხოენოვანი ლიტერატურა, წყაროთა უმრავლესობა არაა თანამედროვე და აქტუალური.
1	დამოწმებული წყაროები ძირითადად არააქტუალური და მოძველებულია, ნაშრომის უმთავრესად ნორმატიულ მასალას ეყრდნობა.

0	დამოწმებული წყაროები მხოლოდ ნორმატიული აქტები და ოფიციალური დოკუმენტებია, სამეცნიერო ლიტერატურა პრაქტიკულად არაა გამოყენებული.

ქულა	კვლევის მეთოდოლოგია და ჩატარებული კვლევის ხარისხი
9-10	სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდები საჭიროებისამებრ და ლოგიკურად, ნაშრომი არაა დესკრიფციული, ემყარება ანალიტიკური და სინთეზური კვლევის მეთოდებს, მცირედაა ისტორიულ-გენეტიკური კვლევის მეთოდი, ერთმანეთს ლოგიკურად ანაცვლებს დედუქციური და ინდუქციური მეთოდები. კვლევა ერთიან და ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის. ჩატარებული კვლევა სიღრმისეული და არგუმენტირებულია, დაყენებული პრობლემა და საკითხი დაწვრილებითაა შესწავლილი, ამოწურული.
7-8	სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მრავალფეროვანი მეთოდები მეტწილად საჭიროებისამებრ და ლოგიკურად, ნაშრომი ნაკლებად დესკრიფციულია, ძირითადად ემყარება ანალიტიკური და სინთეზური კვლევის მეთოდებს, მცირედაა ისტორიულ-გენეტიკური კვლევის მეთოდი, კვლევა მეტწილად ერთიან და ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის. ჩატარებული კვლევა არგუმენტირებულია, დაყენებული პრობლემა და საკითხი შესწავლილია, თუ არაა ამოწურული.
5-6	სამაგისტრო ნაშრომი მეტწილად დესკრიფციულია, ნაკლებად ემყარება ანალიტიკური და სინთეზური კვლევის მეთოდებს, კვლევა ვერ ქმნის ერთიან და ლოგიკურ ჯაჭვს. ჩატარებული კვლევა მეტ-ნაკლებად არგუმენტირებულია, დაყენებული პრობლემა და საკითხი არასრულყოფილადაა შესწავლილი. საკითხი არაა ამოწურული.
3-4	სამაგისტრო ნაშრომი ძირითადად დესკრიფციულ მეთოდებს ემყარება, თითქმის არაა გამოყენებული ანალიტიკური კვლევის მეთოდი, ნაშრომის სისტემა გაუმართავია და არ ავსებს ერთმანეთს ლოგიკურად, საკითხი ზედაპირულადაა განხილული.
1-2	სამაგისტრო ნაშრომი აღწერილობითია, არ იკვლევს რაიმე საკითხს ანალიტიკურად, კვლევა ზოგადაბსტრაქტულია და არ შეესაბამება კვლევის ხარისხის ელემენტარულ სტანდარტს.
0	კვლევა ფაქტობრივად არ ჩატარებულა, ნაშრომი წყაროებიდან ამოკრებილი დაუმუშავებელი ინფორმაციის გაუაზრებელი ერთობლიობაა.

ქულა	სტრუქტურა

9-10	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა გამართული, ლოგიკური, თანმიმდევრული და საკითხის ამოწურვაზე ორიენტირებულია, დაცულია სტრუქტურული ერთეულების ნუმერაციის სტილი, თითოეული სტრუქტურული ერთეული თანაბარმნიშვნელოვანი და შინაარსობრივად ერთმანეთის თანაბარია, არცერთი ერთეული შინაარსობრივად და ფორმალურად არ ფარავს ერთმანეთს, არ მოიცავს ერთმანეთით განსაზღვრულ საკითხებსა და ზუსტ თემატიკას, ნაშრომის სტრუქტურირებისათვის გამოყენებულია ცნების სისტემური ანალიზის მეთოდი.
7-8	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკური, თანმიმდევრული და მეტწილად საკითხის ამოწურვაზე ორიენტირებულია, სტრუქტურული ერთეულების ნუმერაციის სტილი მეტწილად დაცულია, სტრუქტურული ერთეულების უმრავლესობა თანაბარმნიშვნელოვანი და შინაარსობრივად თანაბარია, ერთეულების დიდი ნაწილი შინაარსობრივად და ფორმალურად არ ფარავს ერთმანეთს, მხოლოდ ნაწილობრივ იკვეთება ერთმანეთით განსაზღვრული საკითხები და თემატიკა, ნაშრომის სტრუქტურირებისათვის ცნების სისტემური ანალიზის მეთოდი მხოლოდ ფორმალურადაა გამოყენებული.
5-6	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა არათანმიმდევრულია და საკითხის ამოწურვაზე ნაკლებადაა ორიენტირებული, სტრუქტურული ერთეულების ნუმერაციის სტილი არაა დაცული, სტრუქტურული ერთეულები თითქმის არათანაბარმნიშვნელოვანი და შინაარსობრივად იდენტურია, ერთეულების დიდი ნაწილი შინაარსობრივად და ფორმალურად ფარავს ერთმანეთს. ნაშრომის სტრუქტურირებისათვის ცნების სისტემური ანალიზის მეთოდი ფაქტობრივად არაა გამოყენებული.
3-4	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა არათანმიმდევრულია და არაა საკითხის ამოწურვაზე ორიენტირებული, სტრუქტურული ერთეულების ნუმერაციის სტილი არაა დაცული, სტრუქტურული ერთეულები არათანაბარმნიშვნელოვანი და ურთიერთგადამფარავია.
1-2	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა ალოგიკურია, მხოლოდ რამდენიმე საკითხია ჩაშლილი, ისიც ზედაპირულად, სრულიად არაა ორიენტირებული რომელიმე მათგანის ამოწურვაზე, სტრუქტურული ნუმერაციის სტილი სტრუქტურაში არ არსებობს.
0	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა გაუმართავი და ალოგიკურია, ფაქტობრივად, ნაშრომს ერთიანი სტრუქტურა არ გააჩნია.

ქულა	საკუთარი იდეები და პოზიციები

5	სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის იდეები, რომლებიც ემყარება არგუმენტაციას, განხილულ და მოხმობილ წყაროებს. ავტორი ავითარებს და წარმოაჩენს საკუთარ პოზიციებს კვლევის საკითხთან, თემატიკასთან დაკავშირებით, სიღრმისეული ანალიზის შედეგად აბალანსებს დარგში გავრცელებული ავტორიტეტული მოსაზრებების, იდეების პარალელურად, საკუთარ, ინდივიდუალურ შეფასებებს. ავტორის მსჯელობა დასაბუთებული, გამართული და ლოგიკურია, იგი უშუალოდ მიემართება კვლევის საგანს.
4	სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის იდეები, რომლებიც მეტწილად ემყარება არგუმენტაციას, განხილულ და მოხმობილ წყაროებს. ავტორი ცდილობს, განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი პოზიციები კვლევის საკითხთან, თემატიკასთან დაკავშირებით, სიღრმისეული ანალიზის შედეგად მეტ-ნაკლებად აბალანსებს დარგში გავრცელებული ავტორიტეტულ მოსაზრებებს, იდეებსა და საკუთარ, ინდივიდუალურ შეფასებებს. ავტორის მსჯელობა ძირითადად დასაბუთებული, გამართული და ლოგიკურია, იგი, საბოლოო ჯამში, მიემართება კვლევის საგანს.
3	სამაგისტრო ნაშრომში მწირადაა ავტორის იდეები. მათი მხოლოდ ნაწილი ემყარება რაციონალურ მტკიცებასა და დასაბუთებას. ავტორი არ ცდილობს გამორჩეულად წარმოაჩინოს საკუთარი ინდივიდუალური პოზიციები და მოსაზრებები კვლევის საგანთან დაკავშირებით. მისი მსჯელობა ნაკლებადაა დასაბუთებული და გამართული.
2	სამაგისტრო ნაშრომში ავტორის იდეები და პოზიციები მწირადაა წარმოდგენილი, არგუმენტაცია ზედაპირულია, თუმცა მაინც შეინიშნება არასიღრმისეული ინდივიდუალიზმი. სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი იდეები და პოზიციები ნაკლებად უკავშირდება ნაშრომში მოცემულ წყაროების ანალიზს.
1	სამაგისტრო ნაშრომში ავტორის ინდივიდუალური შეხედულებები, პოზიციები და მოსაზრებები თითქმის არაა წარმოდგენილი, მათი უმრავლესობა კი ძირითადად დაუსაბუთებელი და ზედაპირულია, მოკლებულია რაციონალურ საფუძვლებს.
0	სამაგისტრო ნაშრომში ავტორის ინდივიდუალური შეხედულებები, პოზიციები და მოსაზრებები არაა წარმოჩენილი.

ქულა	დასკვნები და შედეგები
5	ნაშრომი მოიცავს კვლევის კონკრეტულ, გაზომვად და შეფასებად შედეგებსა და არგუმენტირებულ, მსჯელობაზე დაფუძნებულ დასკვნებს. თითოეული შედეგი და დასკვნა ლოგიკურად მიემართება შესავალში დასახულ კვლევის მიზნებს და მიღწეულია შესავალშივე

	დაგეგმილი შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით. დასკვნები და მიღწეული შედეგები ნათელ წარმოდგენას ქმნის კვლევის ძირითადი მიმართულებების, ავტორის მიერ განვითარებული იდეებისა და ჩამოყალიბებული ინდივიდუალური პოზიციების შესახებ.
4	ნაშრომი მოიცავს კვლევის კონკრეტულ, გაზომვად და შეფასებად შედეგებსა და მეტწილად არგუმენტირებულ, მსჯელობაზე დაფუძნებულ დასკვნებს. შედეგებისა და დასკვნების უმრავლესობა ლოგიკურად მიემართება შესავალში დასახულ კვლევის მიზნებს და მიღწეულია შესავალშივე დაგეგმილი შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით. დასკვნები და მიღწეული შედეგები მეტწილად წარმოდგენას ქმნის კვლევის ძირითადი მიმართულებების, ავტორის მიერ განვითარებული იდეებისა და ჩამოყალიბებული ინდივიდუალური პოზიციების უმრავლესობის შესახებ.
3	ნაშრომში მოცემულია კვლევის გარკვეული შედეგები და დასკვნები, მათი ნაწილი ლოგიკურად უკავშირდება შესავალში დასახულ მიზნებს, ასევე, იკვეთება შესავალში მოცემული კვლევის მეთოდების ნაწილის გამოყენება შედეგების მიღწევაში. ავტორი ცდილობს დასკვნები მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული იყოს და მოხმობილ თუ დამოწმებულ ინფორმაციას დააფუძნოს.
2	ნაშრომში მწირადაა კონკრეტული დასკვნები, ასევე, ნაშრომი მოისაკლისებს კონკრეტულ შედეგებს, რთულია შესავალში დასახული მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება. დასკვნები და შედეგები თითქმის არ მოიცავს ინფორმაციას ავტორის ინდივიდუალური შეხედულებების, იდეებისა და დაფიქსირებული პოზიციების შესახებ.
1	ნაშრომში ფორმალურად მოცემულია ზოგადაბსტრაქტული დასკვნები, რომლებიც არაა დასაბუთებული, ნაშრომით კონკრეტული შედეგები არ მიიღწევა.
0	ნაშრომი არ მოიცავს კონკრეტულ დასკვნებსა და შედეგებს.

ქულა	აკადემიური წერის კულტურა, ციტირების ტექნიკა და ფორმალური სტანდარტის დაცვა
9-10	სამაგისტრო ნაშრომი მაღალი დონის აკადემიური კულტურის დაცვითაა შესრულებული, სრულიად გათვალისწინებულია აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის წესები, ნაკლებადაა პირდაპირი ციტატა, მეტი ყურადღება გამახვილებულია პერიფრაზირებასა და ინფორმაციის გადამუშავებაზე, შესაბამისი სტანდარტის დაცვით, ავტორის წერის სტილი და მანერა გამორჩეულად კარგია, ტექსტი ფორმალურად და შინაარსობრივად გამართულია, ორთოგრაფიული და

	გრამატიკული შეცდომები პრაქტიკულად არაა. ყველა ფორმალური სტანდარტი და მოთხოვნა დაცულია.
7-8	სამაგისტრო ნაშრომში მეტწილად გათვალისწინებულია აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის წესები, ნაკლებადაა პირდაპირი ციტატა, მეტი ყურადღება გამახვილებულია პერიფრაზირებასა და ინფორმაციის გადამუშავებაზე, შესაბამისი სტანდარტის დაცვით, ავტორის წერის სტილი და მანერა კარგია, ტექსტი ფორმალურად და შინაარსობრივად დიდწილად გამართულია, ძალზე ცოტაა ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები. თითქმის ყველა ფორმალური სტანდარტი და მოთხოვნა დაცულია.
5-6	სამაგისტრო ნაშრომში გათვალისწინებულია აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის წესების ნაწილი, საკმაოდაა პირდაპირი ციტატა, მრავლადაა პერიფრაზირება, ინფორმაციის გადამუშავების გარეშე, ავტორის წერის სტილი და მანერა დამაკმაყოფილებელია, ტექსტი ფორმალურად და შინაარსობრივად ბოლომდე გამართული არაა, ნაშრომში საკმაოდაა ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები. ფორმალური სტანდარტი ნაკლებადაა დაცული.
3-4	ნაშრომი ნაწილობრივ ითვალისწინებს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის მინიმალურ სტანდარტს, მრავლადაა პირდაპირი ციტატა და დამახინჯებული პერიფრაზი, ავტორის წერის სტილი და მანერა მდარეა, ტექსტი არაა გამართული ფორმალურად და შინაარსობრივად, ნაშრომში მრავლადაა ორთოგრაფიული და გრამატიკული პრობლემები.
1-2	ნაშრომი არ აკმაყოფილებს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის მინიმალურ სტანდარტს, თითქმის სრულად პირდაპირი თუ დამახინჯებული ციტატებითაა აწყობილი, ავტორის წერის სტილი ხარვეზიანი და პრობლემურია, მრავლადაა სტილისტური ხარვეზი, ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომა.
0	ნაშრომი არ აკმაყოფილებს აკადემიური წერის სტანდარტს, ციტირების ტექნიკა სრულიად უგულებელყოფილია.

7. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია: საპრეზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე (4 ქულა), აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი (4 ქულა), სიახლის დასაბუთებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი (4 ქულა), საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი (4 ქულა), მიწოდების ტექნიკა (4 ქულა).

ქულა	საპრეზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე
4	საპრეზენტაციო მასალა ვიზუალურად დახვეწილი და აკადემიურია, გამოყენებულია აკადემიური პრეზენტაციისთვის შესაფერისი დიზაინი,

	სლაიდების რაოდენობა არ აღემატება 8-10 ერთეულს, არაა გადატვირთული ტექსტით, შერჩეულია შესაბამისი ძირითადი გზავნილები, პრეზენტაციის სლაიდების შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის შინაარსს. პრეზენტაციის გაფორმებისას გამოყენებული ფერები კლასიკური აკადემიური პრეზენტაციისთვის შესაფერისია, სლაიდებზე დატანილი ინფორმაცია გარკვევითაა მოცემული და მარტივად აღსაქმელია.
3	საპრეზენტაციო მასალა ვიზუალურად დახვეწილი და აკადემიურია, გამოყენებულია აკადემიური პრეზენტაციისთვის შესაფერისი დიზაინი, სლაიდების რაოდენობა დასაშვებთან მიახლოებულია, არაა გადატვირთული ტექსტით, ძირითადად შერჩეულია შესაბამისი გზავნილები, პრეზენტაციის სლაიდების შინაარსი მეტწილად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის შინაარსს. სლაიდებზე დატანილი ინფორმაცია გარკვევითაა მოცემული და მარტივად აღსაქმელია.
2	საპრეზენტაციო მასალა ვიზუალურად მეტწილად აკადემიურია, სლაიდების რაოდენობა ბევრია და გადატვირთულია ტექსტით. პრეზენტაციის სლაიდების შინაარსი არაა კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული. სლაიდებზე დატანილი ინფორმაცია გარკვევით არაა მოცემული და არც მარტივად აღსაქმელია.
1	პრეზენტაცია მწირი, არაინფორმაციული, ნაკლებად აკადემიურია, ძირითადად მოიცავს ტექსტებსა და საკითხების დეტალურ აღწერილობას.
0	Powerpoint პრეზენტაცია არაა შესრულებული.

ქულა	აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი
4	მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომში შესრულებული კვლევის შესახებ ინფორმაცია ლოგიკურად, თანმიმდევრულად დაალაგა და წარმოადგინა, დაასაბუთა და მართებულად წარმოაჩინა კვლევის საგანი და სამაგისტრო ნაშრომში განხილული პრობლემა, იმსჯელა და დამაჯერებლად გადმოსცა ინფორმაცია პრობლემის აქტუალობის თაობაზე.
3	მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომში დასახული კვლევის აქტუალობა მეტწილად დამაჯერებლად გადმოსცა, თანმიმდევრულად დაალაგა ინფორმაცია და მართებულად წარმოაჩინა კვლევის საგანი. მაგისტრანტმა ძირითადად დასაბუთებულად იმსჯელა ნაშრომის კვლევის საგნის თაობაზე.

2	მაგისტრანტმა ნაწილობრივ დაასაბუთა შესრულებული კვლევის საგნისა და პრობლემის აქტუალურობა, გადმოსცა საკითხთა დიდი ნაწილი, თუმცა არაარგუმენტირებულად.
1	მაგისტრანტმა ზედაპირულად და დაუსაბუთებლად წარმოაჩინა კვლევის საგანი და პრობლემის აქტუალობა.
0	მაგისტრანტმა ვერ წარმოაჩინა საკუთარი პოზიცია და პრობლემის აქტუალობა.

ქულა	სიახლის დასაბუთებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი
4	პრეზენტაციისას მაგისტრანტმა დასაბუთებულად და სრულყოფილად გადმოსცა ინფორმაცია მის სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩენილი სიახლის თაობაზე, იმსჯელა კვლევის სიახლეების პრაქტიკულობაზე, ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოაჩინა კვლევის შედეგები, იმსჯელა მათი პრაქტიკულობის შესახებ, დაასაბუთა კვლევის შედეგებისა და კვლევის დასაწყისში, შესავალში დასახული მიზნების ურთიერთმიმართების საკითხი.
3	მაგისტრანტმა დასაბუთებულად და სრულყოფილად გადმოსცა ინფორმაცია მის სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩენილი სიახლის თაობაზე, იმსჯელა კვლევის სიახლეების პრაქტიკულობაზე, მეტწილად ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოაჩინა კვლევის შედეგები, ნაწილობრივ დაასაბუთა კვლევის შედეგებისა და კვლევის დასაწყისში, შესავალში დასახული მიზნების ურთიერთმიმართების საკითხი.
2	მაგისტრანტმა არასრულყოფილად დაასაბუთა და ხარვეზით წამოაჩინა ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის სიახლის თაობაზე, იმსჯელა და ისაუბრა კვლევის შედეგების ნაწილის შესახებ.
1	მაგისტრანტმა მხოლოდ ზედაპირულად და არადამაჯერებლად წარმოაჩინა კვლევის სიახლეები და მიღწეული შედეგები.
0	მაგისტრანტმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა სიახლეები და წარმოეჩინა კვლევის შედეგები.

ქულა	საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი
4	მაგისტრანტმა სრულყოფილად წარმოაჩინა საკუთარი პოზიცია და იდეები, იმსჯელა სამაგისტრო ნაშრომში მოცემული შეხედულებების, მოსაზრებების თაობაზე, სწორად გაანაწილა დრო, ზოგადი ხასიათის ინფორმაციის ნაცვლად, გადმოსცა უშუალოდ მისი, ინდივიდუალური

	შეფასებები დამაჯერებლად, ლოგიკური არგუმენტაციითა და ინფორმაციის ლოგიკურად დაჯგუფების საშუალებით.
3	მაგისტრანტმა მეტწილად კარგად წარმოაჩინა საკუთარი იდეები და შეძლო საკუთარი პოზიციის დაცვა, ძირითადად გადმოსცა საკუთარი შეხედულებები, თუმცა მცირედ ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომში მოცემულ ზოგად იდეებზეც. ინდივიდუალური შეფასებები მეტწილად ლოგიკურად დაასაბუთა და დააჯგუფა.
2	მაგისტრანტმა ნაწილობრივ წარმოაჩინა საკუთარი იდეები და შეეცადა, საკუთარი პოზიციები დაეცვა. ძირითადად ნაშრომის ზოგადი შინაარსი გადმოსცა, ნაცვლად უშუალოდ საკუთარი, ინდივიდუალური შეფასებებისა.
1	მაგისტრანტის მიერ წარმოჩენილი საკუთარი პოზიციები ზედაპირული, არასაკმარისი და არადამაჯერებელია.
0	მაგისტრანტმა ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და დაცვა.

ქულა	მიწოდების ტექნიკა
4	პრეზენტაცია სწორად დაგეგმილია, მაგისტრანტი მართებულად ანაწილებს და ზუსტად იყენებს მისთვის გამოყოფილ დროს, ამყარებს თვალისმიერ კონტაქტს აუდიტორიასთან, იყენებს სხეულის ენას, შესაბამის ჟესტიკულაციას, საუბრობს გარკვევით, ლოგიკურად ანაწილებს და აჯგუფებს მისაწოდებელ ინფორმაციას. მაგისტრანტი არაა დამოკიდებული სლაიდებზე, პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და მისი ზეპირი წარმოჩენა თანხვდება ერთმანეთს.
3	პრეზენტაცია მეტწილად სწორადაა დაგეგმილი, იგი ზუსტად იყენებს მისთვის გამოყოფილ დროს. მეტწილად ფლობს სხეულის ენას, საუბრობს გარკვევით, თუმცა მისაწოდებელი ინფორმაცია სრულად ლოგიკურად არაა დალაგებული. მაგისტრანტი არაა დამოკიდებული სლაიდებზე, თუმცა პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და მისი ზეპირი წარმოჩენა მცირედით სცდება ერთმანეთს.
2	პრეზენტაცია სწორად არ დაიგეგმა, მაგისტრანტმა ინფორმაცია სიზუსტითა და ლოგიკური თანმიმდევრობით ვერ გადმოსცა, ნაწილობრივ ფლობდა სხეულის ენას, დამოკიდებული იყო პრეზენტაციის ვიზუალურ ფორმაზე.
1	მაგისტრანტმა მისაწოდებელი ინფორმაცია ზედაპირულად და ქაოსურად გადმოსცა, არ დაიცვა ლოგიკური თანმიმდევრობა, არ

	იყენებდა სხეულის ენას, პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და მისი ზეპირი წარმოჩენა არ ეთანადებოდა ერთმანეთს.
0	მაგისტრანტმა ვერ გადმოსცა ინფორმაცია და ვერ შეძლო აუდიტორიისთვის მიეწოდებინა სათქმელი.

8. დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმებია: სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა (10 ქულა), საკუთარი არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის თანმიმდევრულობა (10 ქულა).

ქულა	სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა
9-10	სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ დისკუსიაში მაგისტრანტმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა, დამაჯერებლად და ამომწურავად გასცა პასუხი ყველა წამოჭრილ კითხვას, ზედმიწევნით ისაუბრა ყველა დასმულ საკითხზე. მაგისტრანტმა დაიცვა აკადემიური ეთიკისა და პატიოსნების პრინციპები დისკუსიისას, ამოწურა დაინტერესებულ პირთა ინტერესი.
7-8	სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ დისკუსიაში მაგისტრანტმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა, დამაჯერებლად და ამომწურავად გასცა პასუხი თითქმის ყველა წამოჭრილ კითხვას, შეეცადა ამომწურავად ესაუბრა ყველა დასმულ საკითხზე. მაგისტრანტმა დაიცვა აკადემიური ეთიკისა და პატიოსნების პრინციპები დისკუსიისას, მეტწილად დააკმაყოფილა დაინტერესებულ პირთა ინტერესი.
5-6	სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ დისკუსიაში მაგისტრანტმა მიიღო მონაწილეობა, ნაწილობრივ დამაჯერებლად გასცა პასუხი წამოჭრილი კითხვების ნაწილს. მაგისტრანტმა ნაწილობრივ დაიცვა აკადემიური ეთიკისა და პატიოსნების პრინციპები დისკუსიისას, მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაინტერესებულ პირთა ინტერესი.
3-4	მაგისტრანტმა მიიღო მონაწილეობა დისკუსიაში, არადამაჯერებლად გასცა პასუხი წამოჭრილი კითხვების უმრავლესობას. თითქმის დაიცვა აკადემიური ეთიკისა და პატიოსნების პრინციპები დისკუსიისას, ვერ დააკმაყოფილა დაინტერესებულ პირთა ინტერესი.

1-2	მაგისტრანტი ფორმალურად ჩაერთო დისკუსიაში, თუმცა ზოგადი, არადამაჯერებელი და დაუსაბუთებელი პასუხები გასცა დასმულ კითხვებს.
0	მაგისტრანტმა ვერ შეძლო დისკუსიაში მონაწილეობა, ვერ გასცა პასუხი დასმულ კითხვებს.

ქულა	საკუთარი არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის თანმიმდევრულობა
9-10	მაგისტრანტმა დისკუსიისას საკუთარი პოზიცია დამაჯერებლად წარმოაჩინა, ლოგიკურ თანმიმდევრობაზე დააფუძნა საკუთარი პოზიციები, სიღრმისეულად გააანალიზა და მიმოიხილა წამოჭრილი საკითხები, ზედმიწევნითი სიზუსტით დაასაბუთა პასუხები.
7-8	მაგისტრანტმა დისკუსიისას საკუთარი პოზიცია მეტწილად დამაჯერებლად წარმოაჩინა, ლოგიკურ თანმიმდევრობაზე დააფუძნა საკუთარი პოზიციების უმრავლესობა, გააანალიზა და მიმოხილა წამოჭრილი საკითხები, დაასაბუთა პასუხები.
5-6	მაგისტრანტმა საკუთარი პოზიცია ნაწილობრივ დამაჯერებლად წარმოაჩინა, შეეცადა ლოგიკურ თანმიმდევრობით წარმოედგინა საკუთარი პოზიციების ნაწილი, თუმცა სიღრმისეულად ვერ გააანალიზა საკითხები და ბოლომდე დამაჯერებელი პასუხები არ ჰქონია.
3-4	მაგისტრანტმა საკუთარი პოზიციის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოაჩინა დამაჯერებლად, მსჯელობასა და ანალიზს დასაბუთება და ლოგიკური თანმიმდევრობა მეტწილად აკლდა, პასუხების უმრავლესობა დაუსაბუთებელი იყო.
1-2	მაგისტრანტმა ზედაპირულად და არადამაჯერებლად დაიცვა პოზიცია, მსჯელობა არათანმიმდევრული და ალოგიკური იყო.
0	მაგისტრანტმა ვერ წარმოაჩინა საკუთარი პოზიცია დისკუსიისას, ფაქტობრივად არ უმსჯელია.

9. ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი სპეციალური კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
10. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

11. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
11.1 (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
11.2 (B) ძალიან კარგი – შეფასების 81-90 ქულა;
11.3 (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
11.4 (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
11.5 (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
12. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:
12.1 (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთ ხელ გასვლის უფლება; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
12.2 (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი.თუკი მაგისტრანტმა (F) შეფასება მიიღო საბოლოო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის შედეგად, ის კარგავს იმავე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
13. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად (F) შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.
14. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად (F) შეფასების საფუძვლებია, ასევე:
14.1 საჯარო დაცვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
14.2 საჯარო დაცვაზე გამოცხადების შემდგომ უარის თქმა მის დაცვაზე;
14.3 აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა;
14.4 საჯარო დაცვის ჩაშლის მცდელობა ან მისი ჩატარების განაწესის დარღვევა;
14.5 შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით.

მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის დადებითი შეფასების შედეგები

1. სამაგისტრო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს ენიჭება შესაბამისი დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც დადასტურებული იქნება მისთვის მაგისტრის დიპლომის გაცემით.
2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა უნივერსიტეტის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმდება საქართველოს კანონმდებლობისა და უსდ-ში დადგენილი წესების შესაბამისად.